

რეკომენდაცია

პროფესიულ ურთიერთობაში სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ლ.,

2020 წლის 29 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით (N1341/20) მომართა თ. ბ.-მა (შემდგომში განმცხადებელი), რომელიც მიუთითებს, რომ პარაგლაიდინგის კომპანია X Caucasus¹ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ლ. ჯ.-ს (შემდგომში მოპასუხე) მხრიდან გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მოპასუხე მხარისგან და პარაგლაიდინგის კომპანია X Caucasus თანამშრომლისგან - გ. (ბ) გ.-სგან. ამასთან, შედგა პირადი გასაუბრება მესამე პირებთან - კომპანია X Caucasus თანამშრომლებთან - გ. გ.-თან და ა. ხ.-თან, ხოლო სატელეფონო გასაუბრება შედგა ი. ხ.-თან.

განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა მიმოწერები *მოპასუხე მხარესთან* - ლ. ჯ.-თან და *მესამე პირებთან* - გ. გ.-თან, ა. ხ.-თან და ბ. გ.-თან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განმცხადებლის განმარტებით, 2019 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო პარაგლაიდინგის კომპანია X Caucasus-ში, მეგობრის - გ. გ.-ის რეკომენდაციით, რომელიც კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. თ. ბ.-მა გასაუბრება გაიარა და შრომითი პირობები შეათანხმა მოპასუხესთან - ლ. ჯ.-თან, რომელიც აღნიშნული კომპანიის თანადამფუძნებელი, მფრინავი

¹ *შენიშვნა:* კომპანიის თანამშრომელმა ა. ხ.-ს სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გამოკითხვისას მიუთითა, რომ მათ გასული წლის 12 დეკემბერს შეავსეს განაცხადი იუსტიციის სახლში კომპანიის დარეგისტრირების მიზნით, თუმცა, კომპანია იურიდიულად დარეგისტრირებული არ არის.

და ჯგუფის ხელმძღვანელია. განმცხადებლის მოვალეობას კლიენტების მოზიდვა და ფოტოგრაფირება წარმოადგენდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სამუშაო ითვალისწინებდა 3 თვით სვანეთში გამგზავრებას, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა საცხოვრებლით და საკვებით.²

განმცხადებელი, მოპასუხე ლ. ჯ. და ბ. გ.³ 18 დეკემბერს გაემგზავრნენ სვანეთში სამუშაოდ. მათ ბ.-ს გზაში აუხსნეს, რომ მეორე მფრინავი ი. ხ. 2 ან 3 დღეში ჩავიდოდა თავის დამხმარებთან ერთად და დაიწყებდნენ მუშაობას. სვანეთში ისინი განთავსდნენ სოფელ ივარში, ბ. გ.-ს სახლში. განმცხადებელს გამოყოფილი ჰქონდა ოთახი, რომელშიც უნდა ეცხოვრა მას და სხვა პრომო გოგონას, რომელიც ი. ხ.-თან ერთად უნდა ჩამოსულიყო.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სხვა თანამშრომლები არ ჩავიდნენ სვანეთში, ვინაიდან სეზონი არ იყო გახსნილი. მოპასუხეს კი არ ჰქონდა მოძიებული ინფორმაცია ამინდის შესახებ, რომელიც ამ ტიპის სამსახურის შესრულებისთვის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. განმცხადებელი განმარტავს, რომ ის თავს მოტყუებულად გრძნობდა, თუმცა, უსახსრობის გამო იძულებული იყო დარჩენილიყო სოფელ ივარში და დალოდებოდა მუშაობის დაწყებას.

განმცხადებელი განმარტავს, რომ 8 დღის შემდეგ ი. ხ. ჩავიდა სვანეთში თავის ნათესავ ბიჭთან ერთად და დასახლდა სხვა ბინაში. ამდენად, განმცხადებელი ცხოვრობდა მოპასუხესთან და ბ. გ.-თან ერთად.

განმცხადებელი იხსენებს, რომ 27 დეკემბერს მოპასუხემ და ბ. გ.-მა შესთავაზეს ი. ხ.-თან წასვლა, რაზეც მან უარი უთხრა. ლ. ჯ. და ბ. გ. სახლში დაბრუნდნენ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, რაც განმცხადებელს არ ესიამოვნა და დასაძინებლად წავიდა. დილის, 06:00 საათის შემდეგ, განმცხადებელი გააღვიძა ხმაურმა, რისიც ძალიან შეეშინდა, რადგან მიხვდა, რომ ოთახში ვიღაც იყო. განმცხადებელმა იკითხა თუ ვინ იყო, რასაც ლ. ჯ. გამოეხმაურა. განმცხადებელმა ჰკითხა, თუ რას აკეთებდა მის ოთახში, რაზეც მოპასუხემ უთხრა, რომ ციოდა და განმცხადებელს გაეთხო. ასევე, მოპასუხემ უთხრა, რომ მასთან დაწოლა უნდოდა, აღნიშნული საპასუხოდ განმცხადებელმა მას მოსთხოვა, ოთახიდან გასულიყო. ამის მიუხედავად, მოპასუხე ტრუსების და მაისურის ამარა განმცხადებლის გვერდით დაწვა. განმცხადებელი მაშინვე ადგა ლოგინიდან და გარეთ გავიდა. მან გააღვიძა ბ. გ. და სთხოვა, მოპასუხის ოთახიდან გაყვანა. თავდაპირველად ლ. ჯ. უარს აცხადებდა ოთახიდან გასვლაზე და მხოლოდ მეორე ცდაზე დაიყოლია ბ. გ.-მ მოპასუხე, დაეტოვებინა ოთახი. განმცხადებელი განმარტავს, რომ შეშინებული იყო და დაძინება ვეღარ შეძლო.

² კომპანიის თანამშრომელმა ა. ბ.-მ გამოკითხვისას დაადასტურა, რომ განმცხადებლის ფუნქციას წარმოადგენდა ფოტო-გადაღება და კლიენტების მოძიება. სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეკითხვაზე მიიღო თუ არა ანაზღაურება განმცხადებელმა გაწეული საქმიანობისთვის მოწმემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ლ. ჯ.-ს და ი. ხ.-ს უნდა გადაეხადათ განმცხადებლისთვის ანაზღაურება. ასევე განმარტა, რომ განმცხადებელს ანაზღაურებაზე წინასწარ შეუთანხმდნენ და განმცხადებელს თითოეული ფრენიდან 50 ლარი ერთჯერადად უნდა მიეღო.

³ შენიშვნა: მოპასუხის - ლ. ჯ.-ს ნათესავი და კომპანიის თანამშრომელი.

მეორე დღეს განმცხადებელი შეეცადა მოპასუხეს და ბ. გ.-ს დალაპარაკებოდა, თუმცა, *მოპასუხე ისე იქცეოდა თითქოს არაფერი მომხდარიყო და ვერ ხვდებოდა თავის დანაშაულს. განმცხადებელმა მოპასუხეს უსაყვედურა მისი საქციელის გამო.* ლ. ჯ.-მ თავისი ქმედება ალკოჰოლურ თრობას დააბრალა და განმცხადებელს დაპირდა, რომ აღარ დალევდა. განმცხადებელი განმარტავს, რომ 28 დეკემბერს პირველად გადიოდნენ სამუშაოდ და გადაწყვიტა მინიმალური თანხა მოეგროვებინა და შემდგომ სვანეთი დაეტოვებინა.

განმცხადებელი დახმარების თხოვნით დაუკავშირდა გ. გ.-ს, რომელიც რამდენიმე დღეში, კომპანიის სხვა თანამშრომლებთან ერთად აპირებდა სვანეთში ჩასვლას.

ახალი წლის ღამეს განმცხადებელი, მოპასუხე და ბ. გ. ი. ხ.-ს სახლში წავიდნენ, სადაც ყველამ ალკოჰოლი მიიღო. სახლში დაბრუნებისას, განმცხადებელი წავიდა დასაძინებლად. ოთახში შესვლიდან 5 წუთში *მოპასუხე განმცხადებლის ოთახში შევიდა და სთავაზობდა, სვანეთში ყოფნის პერიოდში, 3 თვის მანძილზე, სექსუალური ურთიერთობა ჰქონოდათ, გართობისთვის. განმცხადებელმა მოპასუხეს შეურაცხყოფა მიაყენა და ოთახიდან გააგდო.* განმცხადებელი განმარტავს, რომ გათენებამდე ვერ დაიძინა, რადგან ფიქრობდა, რომ შესაძლოა მოპასუხეს შეიძლება კიდევ რაიმე ეცადა.

1 იანვარს, სვანეთში ჩადიოდნენ კომპანიის თანამშრომლები - გ. გ., ა. ხ. და ნ. ტ. განმცხადებელმა დილითვე მისწერა ა. ხ.-ს მომხდარის შესახებ და სწრაფად ჩასვლა სთხოვა. ხ.-მ განმცხადებელი დაამშვიდა და უთხრა, რომ მარტო აღარ იქნებოდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ის აპირებდა უკანა გზაზე მათ სვანეთიდან გაჰყოლოდა, ვინაიდან ასეთ პირობებში ვეღარ იმუშავებდა. 1 იანვარს, საღამოს, გ. გ., ა. ხ. და ნ. ტ. სვანეთში ჩავიდნენ. განმცხადებლის განმარტებით, დაპირების მიუხედავად, ისინი ისე იქცეოდნენ თითქოს არაფერი მოხდა და მის თვალწინ ერთობოდნენ. განმცხადებელი განმარტავს, რომ მან თავი განადგურებულად იგრძნო, როგორც მომხდარი მოვლენების, ასევე თანამშრომლების გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ვინაიდან ტრანსპორტში ადგილი არ იყო, განმცხადებელმა მხოლოდ 3 იანვარს შეძლო სვანეთიდან გამომგზავრება. განმცხადებელი განმარტავს, რომ გამომგზავრების შემდეგ გ. გ.-მ იგი ტელეფონით მოიკითხა, რაზეც მან უპასუხა, რომ პოლიციას მიმართავდა. აღნიშნულის შემდგომ, რამდენიმე საათში მას მოპასუხე ურეკავდა, ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდა და ბოდიშს უხდიდა მომხდარის გამო. განმცხადებლის განმარტებით, მოპასუხე ლ. ჯ. გ. გ.-ს მეშვეობით პოლიციაში წარდგენილი განცხადების გამოხმობას და საუბარს სთხოვდა, რაზეც მან უარი განაცხადა. განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა მიმოწერის ასლების ნაწილი, რომელიც ქვემოთ იქნება ასახული.

განმცხადებელმა მიმართა ქ. თბილისში პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებას. რამდენიმე დღის შემდგომ მას დაუკავშირდა პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც განუმარტა, რომ მისი განცხადება სვანეთის პოლიციას გადაეცა. ასევე განუმარტეს, რომ მის საქმეში დაფიქსირდა რამდენიმე კანონდარღვევა და აუცილებელი იყო მისი სვანეთში ჩასვლა,

ვინაიდან პროკურორს სურდა მასთან გასაუბრება. განმცხადებელმა განუმარტა, რომ მას არ ჰქონდა ფინანსური სახსრები სვანეთში ჩასასვლელად და ასევე ფიქრობდა, რომ პოლიცია მის განცხადებაზე სათანადო რეაგირებას არ მოახდენდა.

1.2. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია და წერილობითი მტკიცებულებები

2020 წლის 19 თებერვალს განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულებები, კერძოდ, მიმოწერები *მოპასუხესთან* და ასევე *კომპანიის თანამშრომლებთან* - გ. გ.-თან, ა. ხ.-თან და ბ. გ.-თან.

2019 წლის 28 დეკემბერი განმცხადებლის და გ. გ.-ს მიმოწერა

განმცხადებელი: „*მოკლედ წამოსვლა მინდა დღეს რუსთავში*“

გ. გ.: „*აუჰ...რატო?*“

განმცხადებელი: „*აქ ამათ ველარ გავუძლებ...*“

გ. გ.: „*მშვიდობაა?*“

განმცხადებელი: „*არა*“

გ. გ.: „*რატო?*“

განმცხადებელი: „*ლ. უყლევებს სვამს და ტვინს ტყნავს...დღეს ღამით 6 საათზე ფხაჭუნმა გამაღვიძა, თვალი გავახილე და ლ. იყო ჩემს ოთახში და დამაწვინეო მეუბნება, ხოდა არამეთქი, ადგა და დაწვა, გამოვედი მე გარეთ, გავაღვიძე ბ. და წაიყვანა იქით ოთახში, ახლა ვზივარ და ველოდები გათენებას რომ გავაჯვავ აქედან მალე, ვერც ვერავის ვწერ*“

განმცხადებელი: „*მთვრალი იყო, მაგრამ იცი რაა.. მე არ ვარ უსაფრთხოდ, არცერთი მდგომარეობა არ ხსნის მაგას*“

2020 წლის 1 იანვარი განმცხადებლის და ა. ხ.-ს მიმოწერა

განმცხადებელი: „*დილა მშვიდობის ა.*“

ა. ხ.: „*Hi*“

განმცხადებელი: „*უნდა წამოვიდე*“

ა. ხ.: „*უი ცუდია ეგ. შეგიძლია მითხრა?*“

განმცხადებელი: „*გუშინ ვიძინებდი...ლ. შემოვიდა ჩემთან ოთახში და სანამ აქ ხარ სექსი გვექონდეს და რაღაც ყლეობები დაიწყო... მეშინია აქ გაჩერების, ხვალ წამოვიდოდი, მაგრამ იმდენი ბარგი მაქვს ვერ შევძლებ*“

ა. ხ.: „*აუ რა ყლეობაა, არ ინერვიულო, მოვდივართ და გ ზაში ვართ*“

განმცხადებელი: „*ჰოო...გელოდებით*“

ა. ხ.: „*აუ რა გითხრა არვიცი*“

განმცხადებელი: „*რა უნდა მითხრა*“

ა. ხ.: „*ძაან ვწუხვარ. ყლეობა მომხდარა*“

განმცხადებელი: „*მეც...მოკლედ შეხვედრამდე*“

ა. ხ.: „*სად ხარ ეხლა*“

მოპასუხის 5 იანვრის მოკლე ტექსტური შეტყობინებები განმცხადებელს:

„მიყვარხარ“; „ბოდიში რაც გაწყენინე“; „ვერ ვპატიობ ჩემს თავს ჩემს საქციელს“; „ძაან ვნანობ“; „სასწაულად მწყდება გული რომ შენ დაგკარგე“; „და მინდა რომ შენც მპატიო“; „შენ ძალიან მაგარი გოგო ხარ და მინდა რომ სულ წარმატებული და ბედნიერი იყო“; „მე ძალიან ცუდი ადამიანი ვარ“; „მიყვარხარ“.

მოპასუხის 6 იანვრის მოკლე ტექსტური შეტყობინებები განმცხადებელს:

„შევრიგდეთ“; „დილა მშვიდობისა თ.“; „მინდა რომ ფრენა ისწავლო და ყველანაირად დაგეხმარები“;

აღნიშნული შეტყობინებები განმცხადებელმა უპასუხოდა დატოვა.

23 იანვარი განმცხადებელსა და ბ. გ.-ს შორის მიმოწერა

ბ. გ.: „თ., როგორ ხარ?“

განმცხადებელი: „კარგად, შენ?“

ბ. გ.: „ლ. როდის დავაჭერინოთ?“

განმცხადებელი: „შენ აზრით სასაცილოა))) სახალხო დამცველი მიხედავს შენს ლ.-ს, და არა იფარის პოლიცია“

ბ. გ.: „თ. რაღაც უაზრო თემა დაიწყე წესით უნდა ხვდებოდე კარგი რაა“

განმცხადებელი: „აღბათ შენ დას ან შეილს რომ მოქცეოდნენ ასე უაზრო აღარ იქნებოდა, არ მინდა ამ თემაზე საუბარი, კარგად, ყველაფერს თავისი სახელი აქვს, თუ უაზრობაა, და კანონიერი, და მორალური“

ბ. გ.: „კარგი თ. არაა ეს თემა სალაპარაკო და მოვრჩეთ რა“

განმცხადებელი: „საშიშიც არაფერი ყოფილა“

ბ. გ.: „საშიში იყო რამე? კვირას ჩამოვდივარ და შეგეხმიანები“

განმცხადებელი: „არ მინდა შეხმიანება“

ბ. გ.: „ლ.-ს კი უჩივლე, მაგრამ ჩემი ძმა ხარ, ჟუჟუნა არ მოგენატრა?“

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა მოპასუხე მხარისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ბ. გ.-სგან. ამასთან, სახალხო დამცველის წარმომადგენელი პირადად გაესაუბრა ბ. გ.-ს⁴ და ა. ხ.-ს⁵; ასევე სატელეფონო გასაუბრება შედგა ი. ხ.-თან⁶.

⁴ სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ 2020 წლის 11 თებერვლის გ.დ.-სთან გასაუბრების ოქმი, რომლითაც განხორციელდა საუბრის აუდიო ჩაწერა მოწმის წერილობითი თანხმობით.

⁵ სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ 2020 წლის 14 თებერვლის ა.ხ.-სთან გასაუბრების ოქმი, რომლითაც განხორციელდა საუბრის აუდიო ჩაწერა მოწმის წერილობითი თანხმობით.

⁶ სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ 2020 წლის 16 მარტს ი.ხ.-სთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

1.3. მოპასუხე ლ. ჯ.-ს პოზიცია

მოპასუხე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი რუსთავში გაიცნო, სადაც იგი რამდენჯერმე აფრინა პარაკლანით, რის შემდეგაც განმცხადებელმა სურვილი გამოთქვა, ესწავლა პარაკლანის მართვა. მოპასუხე აღნიშნავს, რომ მას სამთო სეზონზე გადაწყვეტილი ჰქონდა თეთნულდზე პარაკლანით ფრენა, რისთვისაც ბ. გ.-ს და განმცხადებელს სთხოვა დახმარება.

მოპასუხე განმარტავს, რომ ახალი წლის ღამეს განმცხადებელთან და ბ. გ.-თან ერთად წავიდა მესტიაში, სადაც ახალი წელი მხიარულად აღნიშნეს. ასევე, მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ ი. ხ.-ს სახლში მხოლოდ ერთხელ, ახალი წლის ღამეს იმყოფებოდა განმცხადებელთან და ბ. გ.-თან ერთად. მან განმცხადებელს შენიშვნა მისცა მუსიკალურ სმენასთან დაკავშირებით, რაც თ. ბ.-ს ეწყინა. მოპასუხე აღნიშნავს, რომ როდესაც სახლში მივიდნენ, ის განმცხადებლის ლოგინზე ჩამოჯდა და უთხრა, საწყენად არ მიელო მისი შენიშვნა. ამასთან, მოპასუხემ განმცხადებელს უთხრა, „გაყინულ ოთახში მარტო როგორ დაწვებოდა და ერთად დაწოლილიყვნენ“? აღნიშნულზე განმცხადებელმა არაფერი უპასუხა. „მოპასუხემ კვლავ გაუმეორა განმცხადებელს, რომ ერთად დაწოლილიყვნენ და უთხრა რომ ის უყვარდა“. განმცხადებელმა მოპასუხეს შეაგინა, რაზეც მან გინებით უპასუხა. მოპასუხე განმარტავს, რომ მეორე დღეს ბოდიში მოუხადა განმცხადებელს და შერიგება სთხოვა, რაზეც განმცხადებელმა უპასუხა, რომ მას არასდროს შეურიგდებოდა. მოპასუხე უარყოფს განმცხადებელთან ლოგინში ჩაწოლის ფაქტს.

1.3.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი და მესამე პირების ახსნა-განმარტებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 10 თებერვლის პასუხის თანახმად, განმცხადებელმა 2020 წლის 6 იანვარს მიმართა შსს-ს სავარაუდო სექსუალური შევიწროების თაობაზე. შსს განმარტავს, რომ ვინაიდან, განმცხადებელთან გასაუბრების შედეგად, არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ნიშნები, გამოძიება არ დაწყებულა. ამასთან, ვინაიდან მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებები საზოგადოებრივ ადგილას არ განხორციელებულა, არ გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნები.

ბ. გ.

2020 წლის 2 მარტს ბ. გ.-მა წარმოადგინა წერილობითი განმარტება და უარყო, რომ 28 დეკემბრის დილას მოპასუხე განმცხადებლის ოთახიდან გაიყვანა. ამასთან, აღნიშნა რომ ი. ხ.-ს სახლში იმყოფებოდნენ მხოლოდ ერთხელ 31 დეკემბრის ღამეს.

ბ. ბ.

¹ მოპასუხის - ლ. ჯ.-ს -2020 წლის 28 თებერვლის წერილობითი ახსნა-განმარტება.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2020 წლის 11 თებერვალს გაესაუბრა გ. გ.-ს. მოწმემ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ფეისბუქზე მას მისწერა, რომ მოპასუხემ დალია და ლოგინში შეუწვა. მისი განმარტებით, განმცხადებელმა პირველი ფაქტის თაობაზე 28 დეკემბერის დილას აცნობა. განმცხადებლის შეტყობინება მან დაახლოებით დილის 08:00 საათზე წაიკითხა. მოწმემ განმცხადებელს ურჩია, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ნასვამი იყო, მეორე დღეს, თავდაპირველად მას გასაუბრებოდა.

მოწმემ განმარტა, რომ მეორე ფაქტის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ახალი წლის ღამეს განმცხადებლისათვის სექსუალური ურთიერთობის შეთავაზებას, მან ა. ხ.-სგან შეიტყო. აღნიშნულზე მათ განმცხადებელს უთხრეს, რომ ისინი ჩადიოდნენ სვანეთში, დაელაპარაკებოდა მოპასუხეს და ერთად დაბრუნდებოდნენ უკან.

გ. გ.-მ აღნიშნა, რომ **სვანეთში ჩასვლისას იგი გაესაუბრა მოპასუხეს, რომელმაც დაუდასტურა, განმცხადებლისთვის სექსუალური ურთიერთობის სიტყვიერი შეთავაზება, რასაც მათ შორის შეკამათება მოყვა.** ასევე განმარტა, რომ აღნიშნული მათი პირადი ურთიერთობაა და ამ საკითხზე დამატებით არ ისაუბრებს. მან ასევე თქვა, რომ განმცხადებლის ლოგინში შეწოლის ფაქტი მოპასუხეს არ დაუდასტურებია.

მოწმემ ასევე განმარტა, რომ მოპასუხეს მისთვის არ უთხოვია, თ. ბ. დაერწმუნებინა, რომ პოლიციაში წარდგენილ საჩივარზე უარი ეთქვა, არამედ მან განმცხადებელთან დაკავშირებაში სთხოვა დახმარება.

განმცხადებლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით გ. გ.-მ აღნიშნა, რომ ბ. ძალიან გაღიზიანებული იყო და არავისთან საუბრობდა. მოწმემ განმარტა, რომ მოპასუხე ცდილობდა განმცხადებელთან საუბარს, თუმცა, განმცხადებელი არ ელაპარაკებოდა. ასევე, მან აღნიშნა რომ, მისი ინფორმაციით, 2 იანვარს მოპასუხემ განმცხადებელს ბოდიში მოუხადა.

ა. ხ.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2020 წლის 14 თებერვალს გაესაუბრა ა. ხ.-ს. მოწმემ დაადასტურა, რომ განმცხადებელმა მას 1 იანვარს ტექსტური შეტყობინებით აცნობა, რომ მოპასუხემ სექსუალური ურთიერთობა შესთავაზა. ამ დროს ის სვანეთში მიემგზავრებოდა გ. გ.-თან და ნ. ტ.-თან ერთად. როდესაც ისინი სვანეთში ჩავიდნენ, განმცხადებელი მოწყენილი იყო.

მეორე დღეს ხ.-მ მოპასუხეს უთხრა, რომ *თუ ასეთი რამე მოხდა, ძალიან ცუდი ფაქტია და ყველასთვის დამაზარალებელია, მათ შორის, კომპანიისათვის და იმ საქმისათვის რაც მათ წამოიწყეს.* მოპასუხემ მას უპასუხა, რომ განმცხადებელს უბრალოდ შესთავაზა სექსუალური ურთიერთობა, ძალადობას ადგილი არ ჰქონია და ის მსგავს საქციელს არ დაუშვებდა.

მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელმა და მოპასუხემ ერთმანეთი სვანეთში წასვლამდე მაქსიმუმ 1 თვით ადრე გაიცნეს რუსთავში.

o. b.

2020 წლის 16 მარტს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ტელეფონით გაესაუბრა ი. ბ.-ს, რომელმაც აღნიშნა, რომ ლ. ჯ. და ბ. გ., რომლებიც ერთმანეთის დეიდაშვილები არიან, მასთან სახლში მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდნენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეკითხვაზე, ხომ არ შეესწრო ის საუბარს, სადაც 28 დეკემბერს ლ. ჯ.-ს მიერ განმცხადებლის ლოგინში შეწოლა, მოწმემ განმარტა, რომ ასეთ ფაქტს ვერ იხსენებს და მიუთითა: „არა მგონია ასეთი რამე ყოფილიყო, ვერ ვიხსენებ ასეთ საუბარს“.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3² პუნქტის თანახმად, *სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.*

„საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრა სექსუალური შევიწროება. მეორე მუხლის მე-4¹ პუნქტი განმარტავს სექსუალური შევიწროების ცნებას, რომლის თანახმად, *სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.* „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიზნებისთვის, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.⁸

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად⁹ და

⁸ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4¹ ნაწილის შენიშვნა.

⁹UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12>.

აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი გენდერული ნიშნით ძალადობის ამ ფორმას ექვემდებარება.¹⁰

სექსუალური შევიწროება შევიწროების ერთ-ერთი სპეციფიური და ყველაზე ხშირი გამოვლინების ფორმაა. სექსუალური შევიწროების ორი ფორმა არსებობს: 1. *Quid Pro Quo* ანუ მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში;¹¹ და 2. მტრული სამუშაო გარემო, როდესაც სამუშაო ადგილზე დამაშინებელ, შეურაცხყოფელ პირობებს¹² ქმნის სექსუალური შინაარსის დამამცირებელი კომენტარები, მინიშნებები, შენიშვნები, ხუმრობები.¹³

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Meritor Savings Bank FSB v Vinson* აღიარა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ორი ფორმა. პირველი “quid pro quo” სექსუალური შევიწროება (სიტყვასიტყვით „რაც რაცის სანაცვლოდ“ “this is for that”) რომლის დროსაც იერარქიულად ზემდგომი მასზე დაქვემდებარებული პირისგან მოითხოვს სექსუალურ მოქმედებას, იმისათვის, რომ დაქვემდებარებულმა შეინარჩუნოს ან მოიპოვოს სამსახურებრივი ბენეფიტები. მეორე უფრო ფართო სახეობა სექსუალური შევიწროების, მოიცავს არასასურველ ქცევას ან სხვა სექსუალური ხასიათის სიტყვიერ ან ფიზიკურ მოქმედებას რომლის მიზანი ან ეფექტი არის ზიანის მიყენება ინდივიდის სამუშაოზე ან ქმნის მტრულ, დამაშინებელ, შეურაცხყოფელ სამუშაო გარემოს.¹⁴

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევს ნებისმიერ შეუსაბამო შენიშვნას, ხუმრობას ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე, ასევე, ქედმაღლურ ან პატერნალისტურ დამოკიდებულებას, რომელიც ატარებს სექსუალურ ქვეტექსტს და ლახავს ადამიანის ღირსებას, ნებისმიერ მხერას ან სხვა შესტიკულაციას, რომელიც ასოცირდება სექსუალობასთან.¹⁵

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) მე-40 მუხლიც სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს

¹⁰UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17.

¹¹ ILO, *Fact Sheet on Sexual Harassment at Work*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf.

¹² ILO, *Sexual Harassment at Work*, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_decl_fs_96_en.pdf.

¹³ Deirdre McCann, *Sexual Harassment at work: National and International Responses*, ILO, Conditions of Work and Employment Series No. 2, 2005, გვ. 2.

ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---travail/documents/publication/wcms_travail_pub_2.pdf

¹⁴ Women, Gender and Work what is equality and how we get there ? Edited by Martha Fetherolf Loutfi, international labour organization 2001, international labour office Geneva page 513.

¹⁵ International Labour Organization (ILO), *Equality in Employment and Occupation*, Geneva, 1996, § 39, გვ.15, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661\(1996-83-4B\).pdf](http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(1996-83-4B).pdf).

შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.¹⁶

სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.¹⁷

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამოორიხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (ought to have known), რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმდებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ.¹⁸

ბრიტანეთის შრომის სააპელაციო ტრიბუნალმა საქმეში *Bracebridge Engineering Ltd v Darby* დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი ინციდენტიც, თუ საკმარისად სერიოზულია, საკმარისია დარღვევის დასადგენად. საქმეში *James v Eastleigh Borough Council* კი ლორდთა პალატამ (House of Lords) დაადგინა, რომ **დისკრიმინაციის დადგენისათვის არ არის აუცილებელი მოტივის ან განზრახვის არსებობა**. შესაბამისად, გამოიყენება ამერიკის სასამართლოების ტესტი „გავლენა მსხვერპლზე“ (“impact on the victim”), და არა „შემავიწროებლის განზრახვა“.¹⁹

სექსუალური შევიწროება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და აქვს დამაზიანებელი ეფექტი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და

¹⁶ Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ. 33-35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/16800d383a>.

¹⁷ Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment*, 7. *Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154.

¹⁸ Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment*, 2.1. *Defining Sexual Harassment*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-basedharassment/2-identifying-sexual-harassment#_ftn11.

¹⁹ Women, Gender and Work what is equality and how we get there ? edited by Martha Fetherolf Loutfi, international labour organization 2001, international labour office Geneva page 521.

უსაფრთხოებაზე ვის წინააღმდეგაც არის მიმართული. მღელვარებას და სტრესს, რომელსაც სექსუალური შევიწროება იწვევს, მსხვერპლები ვერ მუშაობენ ავად ყოფნის გამო, ნაკლებად ეფექტურები არიან სამსახურში ან საერთოდ ტოვებენ სამსახურს და ცდილობენ სხვაგან დასაქმებას. სექსუალურ შევიწროებას პირდაპირი ზეგავლენა აქვს საწარმოს შემოსავლიანობაზეც. სექსუალური შევიწროება წარმოადგენს ბარიერს შრომის ბაზარზე ქალების სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის.²⁰

არასასურველი სექსუალური ბუნების ვერბალური ან ფიზიკური ქცევა, განსხვავებს შევიწროებას სხვა მეგობრული ხასიათის ქცევისგან. ის არ არის ჩვეულებრივი, უმნიშვნელო ქცევა, ვინაიდან მას შეუძლია მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანება და ქალის იძულება სამსახური შეიცვალოს. ბელგიის, ესპანეთის, გერმანიის, ჰოლანდიის და დიდი ბრიტანეთის კვლევები ცხადყოფს, რომ პროფესიული ცხოვრების განმავლობაში, მილიონობით ქალს შეეხო სექსუალური შევიწროება.²¹ სექსუალურმა შევიწროებამ შეიძლება დააზიანოს არა მხოლოდ თანასწორი სამუშაო გარემო, არამედ ასევე გავლენა იქონიოს მსხვერპლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზეც.

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელი დასაქმდა კომპანია X Caucasus-ში. საქართველოს „შრომის კოდექსის“ განმარტებით, შრომითი ურთიერთობა არის შრომის მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.²²

შრომის კოდექსის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.²³ მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ მხარეები ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ შემდეგ შრომით პირობებზე:

- 1) განმცხადებლის თ. ბ.-ს ფუნქცია იყო კლიენტების მოზიდვა და ფოტოგრაფირება;
- 2) შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა იყო სამი თვე;
- 3) შრომითი ურთიერთობის ადგილად განისაზღვრა სვანეთი;
- 4) განმცხადებელი უზრუნველყოფილი იქნებოდა საცხოვრებლით და საკვებით;
- 5) განმცხადებელს უნდა მიეღო ანაზღაურება თითოეული ფრენიდან ერთჯერადად 50 ლარის ოდენობით;

²⁰ The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I- II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10-11.

²¹ The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I- II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10.

²² საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2 (1).

²³ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 6 (1).

6) *ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მოპასუხე ლ. ჯ.*

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ X Caucasus იურიდიულად დარეგისტრირებული არ არის, წინამდებარე გადაწყვეტილებაში, ზემოაღნიშნულ ელემენტებზე დაყრდნობით, საქართველოს სახალხო დამცველი მხარეებს შორის ურთიერთობას სამუშაო ადგილზე სავარაუდო სექსუალური შევიწროების კონტექსტში შეაფასებს.

განმცხადებელი მიუთითებს მოპასუხის მხრიდან სექსუალური შევიწროების ორ ინციდენტზე:

- პირველი ინციდენტი შეეხება ლ. ჯ.-ს მხრიდან 2019 წლის 28 დეკემბრის გამთენიისას განმცხადებლის ოთახში შესვლას და მის ლოგინში დაწოლას;
- მეორე ინციდენტი შეეხება 2020 წლის 1 იანვარს განმცხადებლისათვის სექსუალური ურთიერთობის შეთავაზებას.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების და მტკიცებულებების უარყოფის მიზნით, ფაქტობრივად, მოპასუხეს არგუმენტები არ წარმოუდგენია. მოპასუხემ მხოლოდ ნაწილობრივ უარყო განმცხადებლის მიერ აღწერილი ფაქტები და სრულად განმცხადებლისთვის სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება დაადასტურა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან სატელეფონო საუბარში და თავის წერილობით პოზიციაში, რომლითაც მიუთითა, რომ ის შევიდა განმცხადებლის ოთახში და განმცხადებელს სთხოვა, ლოგინში ერთად დაწოლილიყვნენ.²⁴ სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება მოპასუხემ ასევე დაუდასტურა კომპანიის თანამშრომლებს - გ. გ. და ა. ხ.-ს.²⁵ ამდენად, სექსუალური შევიწროება გამოიხატა სექსუალური ხასიათის სიტყვიერ შეთავაზებაში.

რაც შეეხება 28 დეკემბრის ინციდენტს, იმის მიუხედავად, სავარაუდო შემსწრე პირებმა - მოპასუხემ და ბ. გ. აღიშნული არ დაადასტურეს, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 28 დეკემბერს დილითვე, (07:45 საათზე) განმცხადებლის მიერ გ. გ.-სთვის შეტყობინების მიწერა და მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, არ იქნებოდა ლოგიკური, მსგავსი ფაქტი რომ არ მომხდარიყო. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ 31 დეკემბრის ინციდენტს დადასტურებულად ჰქონდა ადგილი.

ასევე, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ მოპასუხისათვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ მისი ქმედებები, როგორც გამთენიისას განმცხადებლის ოთახში შესვლა, ლოგინში დაწოლა, (28 დეკემბერს), ასევე სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება (1 იანვარს) განმცხადებლისთვის შეურაცხმყოფელი და დამაშინებელი იქნებოდა.

²⁴ მოპასუხის - ლ. ჯ.-ს -2020 წლის 28 თებერვლის წერილობითი ახსნა-განმარტება.

²⁵ სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გამოკითხვისას 2020 წლის 11 თებერვალს და 14 თებერვლის გ.დ.-მ და ა.ხ.-მ განმარტეს, რომ მოპასუხემ მათ დაუდასტურა განმცხადებლისათვის სექსუალური ურთიერთობის შეთავაზების ფაქტი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ მხარეებს შორის არ არსებობდა იმ ტიპის ურთიერთობა, რომელიც მოპასუხის საქციელს გაამართლებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ განმცხადებლის რეაქციის შემდგომ, მოპასუხემ მას ბოდიში მოუხადა.

ამ ინციდენტების შემდეგ განმცხადებელი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამუშაო ადგილი, რადგან მუშაობის გაგრძელება მისთვის შეურაცხმყოფელი და დამაშინებელი იყო. ამასთან, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ კომპანიის სხვა თანამშრომლები სათანადოდ ვერ აცნობიერებდნენ, რომ შექმნილი გარემო მისთვის დამამცირებელი იყო. განმცხადებლის მიერ ქმედების არასასურველობას ადასტურებს გ. გ.-თან 28 დეკემბერს მისი მიმოწერა, რომლითაც შეატყობინა, რომ მოპასუხე მის ლოგინში დაწვა და მას სახლში დაბრუნება სურდა, ასევე, ა. ხ.-სთან 1 იანვარს მისი მიმოწერა, რომლითაც შეატყობინა, რომ სვანეთის დატოვება უნდა, რადგან დარჩენის ეშინოდა. ქმედების არასასურველ ხასიათზე ასევე მიუთითებს მოპასუხე ლ. ჯ.-ს ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, 1 იანვარს განმცხადებელმა ის ოთახიდან გააგდო და შეაგინა. გარდა ამისა, მოპასუხის განმარტებით, ბოდიშის მოხდის მიუხედავად, განმცხადებელმა მას უთხრა, რომ არასდროს შეურიგდებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაქმებული განსაკუთრებით დაუცველია, როდესაც ის ახალგაზრდაა ან დროებითი თანამშრომელია.²⁶ ამასთან, განმცხადებელი ცხოვრობს ქ. რუსთავში და იგი მისი სახლიდან ძალიან მოშორებით იმყოფებოდა. ასევე, განმცხადებელი ფინანსურად სრულად კომპანიაზე იყო დამოკიდებული, რის გამოც, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეტოვებინა სვანეთი. ასევე, განმცხადებელი სვანეთში მოპასუხის და ბ. გ.-ს გარდა არავის იცნობდა. უფრო მეტიც, განმცხადებელმა მხარდაჭერა ვერც X Caucasus - ის სხვა თანამშრომლებისგან იგრძნო. აღნიშნული გარემოებები განმცხადებელს მეტად დაუცველს ხდიდა.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი განმცხადებლის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ და ფიზიკურ ქმედებას, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა დამამცირებელი და დამაშინებელი სამუშაო გარემო და იძულებული გახდა სამსახური დაეტოვებინა. განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები ამყარებდა მის მიერ განცხადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ

²⁶ Ontario Human Rights Commission, , 7. *Burden of Proof, Evidentiary Issues*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftnref155.

წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა, პირიქით, მან ნაწილობრივ დაადასტურა სექსუალური შევიწროების ჩადენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ, ლ. ჯ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა თ. ბ.-ს მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველი, სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართავს ლ. ჯ.-ს,

- მომავალში, პროფესიულ ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამაშინებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო სამუშაო გარემო.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,